P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ბავშვები, ბავშვები...

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

დროთა განმავლობაში იცვლება ბავშვთა მიმართ უფროსების მიდგომა, თუმცა, უპირატესობას მაინც კონსერვატორულ აღზრდას ანიჭებენ ადამიანები, რადგან თავად თვლიან, რომ სრულყოფილებასთან ახლოს არიან (ინტერვიუ ფსიქოლოგ სოფი ხარატთან)

იხილეთ მე-6 გვერდზე



№18 (706) 2 - 8 ივნისი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ირღვევა თუ არა კანონი სკოლის გვერდით სლოტკლუბის გახსნით?

„არ მინდა, ჩემმა შვილმა გაკვეთილზე ყოფნის დროს სლოტკლუბს უყუროს“

ქუთაისში, რუსთაველის 9 ნომერში, რესტორან „მირზაანის“ ყოფილ შენობაში სლოტკლუბი იხსნება. ფაქტი საზოგადოების დაინტერესებას არ გამოიწვევდა, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — შენობა, სადაც სლოტკლუბი EVROPA BETI იხსნება, ქალაქის №1 საჯარო სკოლის გვერდით მდებარეობს. გავრცელებულმა ინფორმაციამ საზოგადოებაში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მშობლები აღნიშნავენ, რომ მათ არ სურთ, მათი შვილი საკლასო ოთახის ფანჯრიდან სლოტკლუბს უყურებდეს.

„არ მინდა ჩემი შვილი სკოლაში მისვლამდე გასართობ ცენტრს უყურებდეს. მართალია, ქალაქში ბევრი სლოტკლუბია და მათ კანონი არ კრძალავს, მაგრამ ხომ შეიძლება ადგილობრივმა ხელისუფლებამ მაინც დაარეგულიროს და არ მისცეს მფლობელს საშუალება მსგავსი დაწესებულება სკოლის გვერდით გახსნას. თუ მეტი ადგილი არ მოიძებნა ამხელა ქალაქში?! მაგრამ მომავალ თაობაზე არავინ ზრუნავს, მათი მთავარი ამოცანა ხომ ჩვენი შვილების პოტენციურ მოთამაშეებად ჩამოყალიბებაა,“ — აღნიშნა **ნინო იობიძემ.**

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ვინ რა ნომრით იბრძვის ქუთაისის მერობისთვის და საკრებულოს დეპუტატობისთვის?

პარტიათა საარჩევნო სიები

იხილეთ მე-2 გვერდზე

„ძნელია, პოლიტიკური პარტია სახელმწიფო უწყებისგან განასხვავო“

იხილეთ მე-7 გვერდზე

აიდი-ბარათების გაუქმების მოთხოვნით აქცია გაიმართა

იხილეთ მე-7 გვერდზე

უნდათ და რა ქნან?

რატომ ქორწინდებიან საქართველოში ადრეულ ასაკში?

იხილეთ მე-5 გვერდზე

სკოლის დღიური

იხილეთ მე-3 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, საავტო ცენტრი „ჰოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

მაკა გორგოძე:

„ყველაზე დიდი სირთულე საზოგადოების სამართლებრივი განათლების დაბალი დონეა“

იხილეთ მე-4 გვერდზე

საშინელი სტატისტიკა — ბოლო პერიოდში კახეთში გაუპატიურების და გარყვნილი ქმედების ფაქტები გახშირდა

16 წლის შვილის მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებით 38 წლის მამაკაცი დააკავეს

იხილეთ მე-5 ვერდზე

სკანვორდი — გვ. 7

კროსვორდი — გვ. 7

წყალტუბოში ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი მიმდინარეობს

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის მოადგილემ ალექსანდრე იოსებაშვილმა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განახორციელა.

ამ ეტაპზე რაიონში ცივი ტბის დასასვენებელი კომპლექსის კეთილმოწყობა მიმდინარეობს, უკვე დასრულებულია ტბის გაწმენდითი სამუშაოები და უახლოეს მომავალში გარე ინფრასტრუქტურის მოწყობა მოხდება. პროექტს 5 მილიონი ლარით მსოფლიო ბანკი აფინანსებს. „ცივი ტბის დასასვენებელი კომპლექსის სრულად დასრულების შემდეგ, წყალტუბოში კიდევ ერთი ძალიან კარგი დასასვენებელი ადგილი გაჩნდება და რაიონს ეკონომიკური განვითარების სტიმულსაც მისცემს," —- განაცხადა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ალექსანდრე იოსებაშვილმა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რამდენიმე დღეში ცენტრალური ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოებიც დაიწყება, რომლისთვისაც მსოფილო ბანკმა 7 მილიონი ლარი გამოყო.

აღნიშნული პროექტების განხორციელება ამ დრომდე ვერ ხერხდებოდა, რადგან ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „სანინ" აღებული ვალდებულებები არ შეასრულა და სამუშაოების ჩასატარებლად ტენდერის ხელმეორედ გამოცხადება გახდა საჭირო. 27 მაისს იმერეთის გუბერნატორის მოადგილემ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასთან და საზოგადოებრივ აქტივთან გამართა შეხვედრა. შეხვედრაზე რაიონში არსებულ პრობლემებზე იმსჯელეს, მიმდინარე წლის ბიუჯეტის ანალიზი წარმოადგინეს და მომდევნო 6 თვის ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

ვინ რა ნომრით იბრძვის ქუთაისის მერობისთვის და საკრებულოს დეპუტატობისთვის?

პარტიათა საარჩევნო სიები

სოციალური პაკეტი, უფასო ჯანდაცვა, უფასო განათლება, დასაქმება — ეს იმ დაპირებათა არასრული ჩამონათვალია, რომელთაც პოლიტიკური პარტიები წინა საარჩევნოდ უხვად არიგებენ და რომელთა მეშვეობითაც ცდილობენ ამომრჩეველთა გულის მოგებას.
ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე 14 დღე რჩება და საარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შედის. საარჩევნო სუბიექტები ამომრჩევლებთან შეხვედრებს ყოველდღიურად მართავენ. თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში კარგად შეიმჩნევა საზოგადოების ინერტულობა.
პოლიტიკოსებთან ერთად გამარჯვებისთვის ქალაქში ნაცნობი და უცნობი სახეები იბრძოლებენ. ექიმი, ინჟინერი, ბიზნესმენი, პროფესორ-მასწავლებელი — ეს იმ ძირითადი პროფესიების ჩამონათვალია, რომელთა წარმომადგენლებითაც ცდილობენ საარჩევნო სუბიექტები ქუთაისის საკრებულოში უმრავლესობით მოხვედრას.
ქუთაისის №59-ე საოლქო კომისიაში საარჩევნო სუბიექტები უკვე დარეგისტრირდნენ, ქალაქის 10 საოლქო უბანში გამარჯვებისთვის სხვადასხვა პარტია და ბლოკი იბრძვის. მათი სია შემდეგნაირად გამოიყურება:

საარჩევნო ბლოკი — არასაპარლამენტო ოპოზიცია №1
(გადავარჩინოთ ქუთაისი)
მერობის კანდიდატი მაგდა გაბრიჩიძე — „თავისუფალი საქართველოს" თანადამფუძნებელი
№1 გოგი წულაია — ავტომშენებლის ოლქი
№2 ივანე კაპალაძე — ქალაქ-მუზეუმი
№3 ზვიად წაქაძე — სულხან-საბა
№4 ნათელა ცეცხლაძე
№5 ლია გვენეტაძე — ნიკეა
№6 ნუგზარ გელენიძე — საფიჩხია
№7 თეიმურაზ ფესტვენიძე — ძელქვიანი
№8 ციცინო ინასარიძე — ავტოქარხანა
№9 ოლია მირიანოვა
№10 ვეფხია მიქაუტაძე
№11 მაია დევიძე
№12 ნინო დოლიძე
№13 გიორგი ბუხაიძე — კახიანოური
№14 ლედი ხიტიბაშვილი
№15 როლანდ გიორგაძე — გამარჯვება
№16 მანანა ვაჩიბერიძე
№17 თეიმურაზ ფაიქიძე
№18 კახაბერ ეძგვერაძე
№19 თინათინ გიორგაძე-ბილისეიშვილი
№20 ავთანდილ ჯიშკარიანი

„ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციისთვის" №3
(ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას ძლიერი ქუთაისისათვის)
მერობის კანდიდატი თემურ შაშიაშვილი — ქუთაისის ყოფილი მერი, ასევე იმერეთის ყოფილი გუბერნატორი.
№1დავით წიტაიშვილი — ქალაქ-მუზეუმი
№2 ვახტანგ გაბუნია — გამარჯვება
№3 გიგლა სვანიძე — ნიკეა
№4 ნატო უგრეხელიძე — ავტომშენებელი
№5 ავთანდილ ჟორჟოლიანი — სულხან-საბა
№6 ნანა ნიჟარაძე
№7დავით რეხვიაშვილი — საფიჩხია
№8 ავთანდილ გვანცელაძე — ძელქვიანი
№9 გოჩა არსენიძე — ავტოქარხანა
№10 სოფიკო მიქაბაძე
№11 დავით დარსაძე
№12 ეკატერინე გაჩეჩილაძე
№13 ზაზა სულაძე — უქიმერიონი
№14 მაკა ადამაძე
№15 გოჩა გელოვანი — კახიანოური
№16 მარიკა მოდებაძე
№17 გოდერძი ჭოხონელიძე

საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია №4
(სიმართლე დაუმარცხებელია)
მერობის კანდიდატი ირაკლი კიკვაძე — პედაგოგი
№1 მერაბ ჭუმბურიძე — ქალაქ-მუზეუმი
№2 გიორგი გურეშიძე — საფიჩხია
№3 მაია ხელაძე — გამარჯვება
№4 რაინდ ჩაჩავა — უქიმერიონი
№5 ფირან ხურციძე — ძელქვიანი
№6 სამსონ გუგავა — ნიკეა
№7 გიორგი იმედაძე
№8 გიორგი ღვინიანიძე — ავტოქარხანა
№9 თეა ხვედაძე
№10 ნუგზარ ლომაშვილი — კახიანოური
№11 გივი გურაბანიძე — სულხან-საბა
№12 თეიმურაზ ტურაბელიძე
№13 ლელო კიბორძალიძე
№14 მარინე შათირიშვილი
№15 ბელა ლაღაძე
№16 ბესიკ სამხარაძე
№17 ლუკა ლექვინაძე
№18 გიორგი გუგავა
№19 კონსტანტინე ჩირაძე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" №5
(ავამუშაოთ ქუთაისი)
მერობის კანდიდატი გიორგი თევდორაძე — ქუთაისის ყოფილი მერი, პარლამენტის დეპუტატი
№1 დავით გოგისვანიძე — სულხან-საბა
№2 ბესიკ ბრეგაძე — საფიჩხია
№3 გიორგი უკლება
№4 ამირან ძოწენიძე — უქიმერიონი
№5 ნოე კუხიანიძე
№6 ვლადიმერ კლდიაშვილი — ავტომშენებელი
№7 კახაბერ მაჩიტიძე
№8 შორენა საღინაძე
№9 თამარ გამრეკლიძე
№10 ნატალია ბაბუხადია — ქალაქ-მუზეუმი
№11 კახაბერ გაბუნია — ნიკეა
№12 ფირუზ ბენიძე
№13 კახაბერ ხვარეშია — ავტოქარხანა
№14 დავით აფციაური
№15 ნანა ქომელაშვილი
№16 ანდრო მაღლაკელიძე — გამარჯვება
№17 პაატა ტყეშელაშვილი
№18 დარეჯან კვენტაძე
№19 კახაბერ ქორიძე — კახიანოური
№20 ელისო ხუციძე
№21 გოგი ხოხიაშვილი
№22 ირაკლი ქანთარია
№23 მერაბ ქაჯაია
№24 შალვა გვანცელაძე
№25 გოჩა ჩხიკვაძე — ძელქვიანი

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი №8
(ქუთაისო შენთვის გამოიდარებს)
მერობის კანდიდატი ალექსანდრე კეზევაძე — ექიმი
№1 დავით ჯანაშია – კახიანოური
№2 კახაბერ ნემსიწვერიძე — უქიმერიონი
№3 ტარიელ მესხი — გამარჯვება
№4 რაულ ქორჩილავა — ნიკეა
№5 ზურაბ ხაბეიშვილი — ქალაქ-მუზეუმი
№6 მიხეილ მახვილაძე — საფიჩხია
№7 ცოტნე გველესიანი — ძელქვიანი
№8 დავით კობეშაშვილი — ავტოქარხანა
№9 გრიგოლ ნიქაბაძე — ავტომშენებელი
№10 გერმანე ხურციძე — ვაკი-სუბანი
№12 ციცინო ჯინჯიხაძე
№13 გურამ მერკვილაძე
№14 მიხეილ მაღლაფერიძე
№15 მარინე სუპატაშვილი
№16 ფატიმა გვალია
№17 ნანა ახვლედიანი
№18 დავით სულაკაძე
№19 ზურაბ ბარაძე
№20 სოფიო მამფორია
№21 მიხეილ ბუცხრიკიძე
№22 ანა წაქაძე
№23 თეა აბულაძე
№24 ეკატერინე ნოდია

საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება" №41
(ერთად ვიზრუნოთ ქუთაისზე)
მერობის კანდიდატი შოთა მურღულია — რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე, ქუთაისის ყოფილი მერი
№1 მურმან გუბელაძე — ავტოქარხანა
№2 ნატო ქათამაძე — გამარჯვება
№3 ბექა ყანჩაველი — ავტომშენებელი
№4 ზაზა ლომინაძე — უქიმერიონი
№5 თეიმურაზ ნადირაძე — ქალაქ-მუზეუმი
№6 ნიკოლოზ ლატარია — საფიჩხია
№7 ლელა ქელბაქიანი — კახიანოური
№8 კახაბერ დვალიშვილი — ძელქვიანი
№9 ირმა პეტრიაშვილი — ნიკეა
№10 ლაშა გვენეტაძე — სულხან-საბა
№11 გალაქტიონ ტოროშელიძე
№12 დავით დვალი
№13 თეიმურაზ კიკვაძე
№14 გრიგოლ ქობალიანი
№16 ტარიელ მეტონიძე
№17 ვიქტორ დოლიძე
№18 კონსტანტინე ლომიძე
№19 მამუკა ხურციძე
№20 თეიმურაზ ვაშაკიძე
№21 გელა გაბადაძე
№22 გიორგი ჭიღვარია
№23 ზურაბ ჩაკვეტაძე
№24 მერაბ დანელია
№25 გიორგი ჩიხლაძე
№26 თამარ ნიკოლეიშვილი
№27 თეა ერგემლიძე
№28 ლიანა კუხიანიძე
№29 რობიზონ წინწკლაძე
№30 ნიკოლოზ ზივზივაძე
№31 გიორგი ფურცხვანიძე
№32 ემელიანე ჭულუხაძე
№33 ნანა თხელიძე
№34 ამბერკ დვალიშვილი
№35 ნუგზარ უგულავა
№36 გელა სანიკიძე
№37 დარეჯან ხაჭაპურიძე
№38 ჯონდო არაბიძე
№39 ბაკურ ხურციძე
№40 პელე გურული
№41 ნინო გოდოლაძე
№42 ია იაშვილი
№43 ტატიანა ნადირაძე
№45 რევაზ თევდორაძე
№46 ფიქრია ხაჭაპურიძე
№47 ზურაბ სარალიძე
№48 გია შალამბერიძე
№49 მარეხი ნიჟარაძე
№50 ხათუნა გუდაძე
№51გოდერძი კვინიკაძე

ირღვევა თუ არა კანონი სკოლის გვერდით სლოტკლუბის გახსნით?

„არ მინდა, ჩემმა შვილმა გაკვეთილზე ყოფნის დროს სლოტკლუბს უყუროს“

პირველი გვერდიდან

ხელისუფლების ბრალეულობას ხედავს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელი და აღნიშნავს, რომ ხელისუფლება სლოტკლუბების და გასართობი ცენტრების მიმართ მეტად ლოიალურია.

„ქალაქში ყოველი ფეხის ნაბიჯზე ტოტალიზატორი და სლოტკლუბია, კიდევ რაღა მოიგონეს, რომ ზედ სკოლის გვერდით არ გახსნან, ვისაც თამაში უნდა, ქალაქგარეთაც იპოვის მათ. ამ ბავშვებს სკოლიდან რომ არ აყურებინონ არ შეიძლება? მაგრამ ბავშვობიდან თუ არ შეურყიეს ფსიქიკა, ისე ხომ კლიენტების გარეშე რჩებიან. სამწუხაროა, რომ ქუთაისში ლომბარდის და სლოტკლუბის მეტი არაფერია, ვერცერთმა სხვა ბიზნესმა ვერ გაამართლა, მხოლოდ იმათ, რომლებიც ხალხს ძარცვავს,“ — აღნიშნავს **თინა რევიშვილი.**

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

საქართველოში არსებული კანონით, აზარტული თამაშების შესახებ, გასართობ დაწესებულებებში 21 წლამდე პირთა შესვლა აკრძალულია. იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ახალგაზრდა არაა 21 წლის, ადმინისტრაციას უფლება აქვს მოითხოვოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. თუმცა, რამდენად ამარტივებს ასაკობრივი ზღვარის დადგენა სიტუაციის სიმწვავეს, სხვა თემაა.

რაც შეეხება კანონს ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშების შესახებ მსგავსი დაწესებულების გახსნა, ასევე მომგებიანი თამაშობების ბილეთების გაყიდვა-გავრცელება იკრძალება საბავშვო, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საკულტო ნაგებობებში, საბავშვო სანატორიუმებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობებში. რაც შეეხება აღნიშნული დაწესებულებების გარეპერიმეტრს, კანონში ამ კუთხით ვერაფერს ვკითხულობთ.

თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობით საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე, ახლოს მდებარე მაღაზიებსა და მარკეტებში თამბაქოს გაყიდვა 500 ლარით ჯარიმდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სლოტკლუბის და, ზოგადად, მომგებიანი თამაშობების მოწყობა იკრძალება ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებით აკრძალულ ადგილებში (ტერიტორიულ ზონებში, შენობა-ნაგებობებში). თუმცა, როგორც მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, ირაკლი გიორგაძემ აღნიშნა, დღეისთვის ქუთაისის ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი აკრძალული ადგილები არ არსებობს. საკითხის განხილვა დღის წესრიგშიც დადგა, მაგრამ ამჟამინდელი მოწვევის საკრებულომ იმის გამო, რომ მუშაობის მცირე პერიოდი რჩებოდა, მისი მიღება შეაჩერა და აღნიშნული პრეროგატივა მომავალი მოწვევის საკრებულოს დეპუტატებს დაუტოვა.

EVROPABET-ის სლოტკლუბის გახსნის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმებას ადგილზე შევეცადეთ. შენობაში მისვლისას იქ მყოფებმა განაცხადეს, რომ შენობის მფლობელს მთავრობაში კაცი ჰყავს და არანაირი ნებართვის მიღება არ გაუჭირდება. ასევე აღნიშნეს, რომ მერია საქმის კურსშია და ყველა საბუთი წესრიგშია.

თუმცა, სლოტკლუბის წარმომადგენელთა განცხადების საპირისპიროს აღნიშნავს მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი ანდრო მარჯანიშვილი. მარჯანიშვილის თქმით, შენობის ახალმა მფლობელმა მათთან განცხადება მხოლოდ შენობის უკანა მხარეს მდებარე აივნის შემინვის ნებართვაზე შეიტანა, რაც შეეხება სლოტკლუბის გახსნის და მიმდინარე სხვა სამუშაოების შესახებ მერიას, ჯერჯერობით, არანაირი ინფორმაცია არ აქვს.

„რამდენადაც ცნობილია, შენობა ახალმა მფლობელმა შეიძინა, რომელიც შენობაში პატარ-პატარა შიგა სამუშაოების და აივნის შემინვის ნებართვას ითხოვდა. ჩვენს კითხვაზე — შეცვლიდა თუ არა შენობის ფუნქციას, — გვითხრა, რომ მხოლოდ შიგა სამუშაოების ჩატარება უნდა და ფუნქციასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული არ არიან. ამიტომ არ ვიცით, რა იგეგმება, თუკი მოგვმართავს, ჩვენ კანონის მიერ დადგენილი წესებით ვიმოქმედებთ. ერთადერთი რაზედაც პრეტენზია გვქონდა იყო ის, რომ შენობა ისტორიულ უბანშია და მისი იერსახის შეცვლაზე ნებართვა შენობის არქიტექტორს უნდა გაეცა. როგორც გაირკვა, მფლობელმა აღნიშნული თანხმობაც მიიღო, ამიტომ ამ დროისთვის არანაირი უკანონო მშენებლობა არ მიმდინარეობს,“ — განაცხადა მარჯანიშვილმა.

არქიტექტურის სამსახურის უფროსისგან განსხვავებით საქმის კურსშია მერიის იურიდიული სამსახური. ირაკლი გიორგაძემ აღნიშნა: ვიდრე საბუთს ხელს მოაწერდა შენობაში სლოტკლუბის გახსნის შესახებ, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, ნოდარ მიქიაშვილმა მას კანონის გადახედვა სთხოვა, რადგან რაიმე კანონშეუსაბამობას ადგილი არ ჰქონოდა.

მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შენობის მფლობელია შპს „ბაიარ მასტერის“ დამფუძნებელი მამია მორალიშვილი. მორალიშვილი რომ უშუალოდ კავშირშია მშენებლობასთან, ადასტურებენ რუსთაველის 9 ნომერში მიმდინარე სამუშაოებზე დასაქმებულებიც.

გაზეთი „P.S.“ შეეცადა დეტალური ინფორმაცია თავად მორალიშვილისგან მიეღო, თუმცა მან ჩვენთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ არც „მირზაანთან“ და არც ამჟამად მიმდინარე სამუშაოებთან არაფერი აკავშირებს და არც არანაირ ინფორმაციას არ ფლობს.

ნესტან ჩაგელიშვილი

ქუთაისში ვირუსული მენინგიტის შემთხვევებმა იკლო

მოზარდებში ვირუსული ინფექციის გავრცელების კუთხით, ქუთაისი თბილისის შემდეგ მეორე ადგილზეა.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ამჟამად ქუთაისში, ვირუსული მენინგიტის 60 შემთხვევაა დაფიქსირებული. მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე კი 30.5-ია. ვირუსული მენინგიტის შემთხვევები ქუთაისის მცხოვრებლებში დღიურად, ბოლო მონაცემებით კლებადია. კერძოდ: 24 მაისს ქუთაისშიბ ვირუსის 10 შემთხვევა დაფიქსირდა, 25 მაისს — 5, ასევე 5 ინფიცირებული გამოვლინდა 26 მაისსაც, ხოლო 27-ში — 4. ქვეყნის მასშტაბით, ვირუსული მენინგიტის 384 შემთხვევაა დაფიქსირებული.
შეგახსენებთ, რომ ვირუსული მენინგიტი, ძირითადად, მცირე ასაკობრივ კატეგორიაში დაფიქსირდა. ამჟამად ქუთაისში, ვირუსის გავრცელების გამო საბავშვო ბაღებში და სკოლებში, პირველიდან მე-6 კლასის ჩათვლით, სასწავლო პროცესი კვირის ბოლომდე იყო შეჩერებული. თუმცა, 2 ივნისიდან სწავლების პროცესი ყველა სასწავლო დაწესებულებაში აღდგა.

ჟანა ჯანელიძე



სკოლის დღიური

„ბოლო ზარი“ 30-ე საჯარო სკოლაში

ამაღელვებელი და შთამბეჭდავი გახლდათ 30-ე საჯარო სკოლაში მეთორმეტეკლასელთა მიერ ორგანიზებული „ბოლო ზარი“...
XII [1] და XII[2] კლასის კურსდამთავრებულებმა გაიხსენეს სკოლაში გატარებული წლები, გააცოცხლეს სასიამოვნო მოგონებები, კურიოზები. ისაუბრეს იმაზე, თუ რა მისცა მათ სკოლამ, როგორ მოამზადა ისინი ცხოვრებისათვის. გაწეული შრომისა და ამაგისათვის მადლობა გადაუხადეს სკოლის დირექციას და პედაგოგიურ კოლექტივს... დაჰპირდნენ, რომ ღირსეულად მოიხდიდნენ მამულიშვილურ ვალს ქვეყნის წინაშე...
სკოლამაც მიულოცა მათ ცხოვრების ამ ეტაპის დასრულება და წარმატებები უსურვა ცოდნის შეძენის რთულ გზაზე.

ფოტოკონკურს „წიგნი ობიექტივიდან“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ გამოცხადებული ფოტოკონკურსი „წიგნი ობიექტივიდან“ დასრულდა. გამარჯვებულები 28 მაისს ქუთაისის №13 საქალაქო ბიბლიოთეკაში გამოავლინეს და სამახსოვროდ სხვადასხვა ავტორთა წიგნების კრებული გადასცეს.

კონკურსი, რომლის მიზანიც წიგნის პოპულარიზაციაა, ორი თვის წინ გამოცხადდა და მასში მონაწილეობა 21-მა ავტორმა მიიღო. ქალაქის №13 საჯარო ბიბლიოთეკის გამგის, ბელა უჩაძის განცხადებით, კონკურსი მომავალშიც გაგრძელდება და სისტემატიურ ხასიათს მიიღებს, მასში მონაწილეობა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და ნებისმიერ მკითხველს შეეძლება.
კონკურსში პირველი ადგილი მე-8 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგემ, ლალი ხაჭაპურიძემ დაიკავა; მეორე ადგილზე საჯარო ბიბლიოთეკის ხარისხის მართვის განყოფილების ხელმძღვანელი ინგა გვეტაძე გავიდა; მესამე ადგილი კი, ასევე ბიბლიოთეკის თანამშრომელს, ლოლიტა ჭოლაშვილს ერგო.
ასევე გამოვლინდნენ გამარჯვებულები ნომინაციებში: ფოტოგრაფის რჩეული და ერთგული მკითხველი.
მოზარდი თაობის წიგნთან დაახლეობის და წიგნის პოლულარიზაციის მიზნით, ქალაქის №36-ე საჯარო სკოლის მე-6[ბ] კლასის მოსწავლეები ბიბლიოთეკაში გაწევრიანდნენ.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მაკა გორგოძე:

„ყველაზე დიდი სირთულე საზოგადოების სამართლებრივი განათლების დაბალი დონეა“

გაზეთი „P.S.“ აგრძელებს ინტერვიუების ციკლს ქუთაისის სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეებთან. ბაღდათისა და ტყიბულის შემდეგ, დღეს ჩვენი რუბლიკის სტუმარია წყალტუბოს მაგისტრატი მოსამართლე მაკა გორგოძე.



მაკა გორგოძე

— ქალბატონო მაკა, თავდაპირველად, გთხოვთ, გაგვეცნოთ და მოკლედ გვიამბოთ თქვენი პროფესიული გზის შესახებ, რა ეტაპები გაიარეთ, ვიდრე მაგისტრატი მოსამართლე გახდებოდით?

— მე გახლავართ მოსამართლე მაკა გორგოძე. დავიბადე და ვცხოვრობ ქალაქ ქუთაისში. აქვე დავამთავრე მე-5 საშუალო სკოლა, ასევე ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მოგვიანებით ვსწავლობდი ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, სამართლის ისტორიის სპეციალობით. ასევე გახლდით საერთაშორისო ეკონომიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი კრიმინოლოგიის მიმართულებით. ვმუშაობდი სადისერტაციო თემაზე „რეციდიული დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება“ პროფესორ ოთარ გამყრელიძის ხელმძღვანელობით. 1997 წელს მუშაობა დავიწყე ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტში ლექტორ-მასწავლებლად. 1998 წლიდან კი ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტექნიკური ექსპერტიზის კათედრაზე ასევე ლექტორ-მასწავლებლად. პარალელურად გახლდით უნივერსიტეტის იურისტი. მალე ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსდა სამართლის კათედრა და, შესაბამისად, ვმუშაობდი უკვე მომავალ იურისტებთან. ვკითხულობდი ლექციებს სამართლის ისტორიის, სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიის განხრით. ტექნიკური უნივერსიტეტის ა. წერეთლის უნივერსიტეტთან შერწყმის შემდეგ, ვმუშაობდი იურიდიული ფაკულტეტის შემადგენლობაში. ჩემი საუნივერსიტეტო-პედაგოგიური საქმიანობა გრძელდებოდა ათი წელი. 2007 წლის გაზაფხულზე მუშაობა დავიწყე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის სპეციალისტად, რამდენიმე თვეში დავინიშნე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსად. 2007 წლის ნოემბრის თვიდან დავინიშნე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. 2009-2012 წლებში მივლინებით მოსამართლის უფლებამოსილებას ვახორციელებდი ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში. 2012 წლიდან ისევ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დავბრუნდი, ამჟამად უფლებამოსილებას ვახორციელებ წყალტუბოს მაგისტრატ სასამართლოში, თუმცა საჭიროებიდან გამომდინარე, განვიხილავ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განსჯად საქმეებსაც.

— როდის დაიწყო საქართველოში მაგისტრატი სასამართლოს ფუნქციონირება და რა უფლებამოსილება გააჩნია მას? როგორ საქმეებს იხილავს?

— 2006 წლიდან დაწყებული სასამართლო რეფორმის კვალდაკვალ მაგისტრატი სასამართლოები პირველად ე.წ. გაერთიანებულ სასამართლოებში დაარსდა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს რეორგანიზაცია განხორციელდა 2010 წელს და მის შემადგენლობაში 3 მაგისტრატი სასამართლო შევიდა: წყალტუბოს, ბაღდათისა და ტყიბულის. მაგისტრატი სასამართლოს განსჯადია: ა) ქონებრივი დავები, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს; ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეები, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს. გ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დავები, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე. ასევე მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაა ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამომძიებლის ან/და პროკურორის უკანონო ქმედების გამო საჩივრის გადაწყვეტა.

— თქვენ, როგორც მაგისტრატი მოსამართლე, როგორ აფასებთ, რამდენად ეფექტურია ამ ტიპის სასამართლო, რა უპირატესობები აქვს მას ადგილობრივი მოსახლეობისთვის?

— მაგისტრატი სასამართლოს ეფექტურობას, თავად ამ სასამართლოს არსი და მისი განსჯადობა განაპირობებს. მოქალაქეებისათვის გაცილებით ადვილია, მიმართოს მისი მუნიციპალიტეტის ცენტრში არსებულ სასამართლოს და მიიღოს ის სამართლებრივი შედეგი, რაც უადვილებს მას სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობას, ასევე საშუალება ეძლევა სასამართლოს გზით მიიღოს გადაწყვეტილება იმ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე, როგორიცაა, მაგალითად, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა, ვალდებულებითი სამართლის საფუძველზე წამოჭრილი დავა და ა.შ.

— როგორ შეაფასებდით სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობის საკითხს, რამდენად გენდობათ და აქვს სამართლიანობის იმედი?

— მინდა აღვნიშნო, რომ სასამართლოსადმი ნდობის საკითხის შესახებ კვლევები სისტემატურად წარმოებს, როგორც სასამართლოს შიგნით, ასევე არასამთავრო ორგანიზაციების მიერ. შესაბამისად, არსებობს სტატისტიკური მონაცემებიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ სასამართლოს მიმართ ნდობა ყოველწლიურად იზრდებოდა და უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ მაღალ ნიშნულსაც აღწევს. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია მოსამართლეთა კორპუსის მაღალი პროფესიონალიზმით, ასევე სასამართლო აპარატის მოხელეთა კვალიფიკაციით. სასამართლო ხელისუფლება ზრუნავს როგორც მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ასევე ხშირია ტრეინინგები და სწავლებები აპარატის თანამშრომელთათვისაც. ნდობის საზომად შეგვიძლია გამოვიყენოთ ის განწყობაც, როგორიც მოქალაქეებს მაგისტრატი სასამართლოს მიმართ აქვთ. ისინი ხშირად იხდიან მადლობას აპარატის თანამშრომელთა მხრიდან გაწეული სამუშაოსათვის. ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების პროცენტული მაჩვენებლის დაბალი დონე, ვფიქრობთ, მათი კმაყოფილების უტყუარი დასტურია.

— წელიწადში, დაახლოებით, რამდენი საქმის განხილვა ხდება, რა საკითხებზე მოგმართავენ ძირითადად? ხომ არ გაიხსენებთ რამდენიმე საქმეს, რომელიც დაგამახსოვრდათ გამორჩეულად.

— წყალტუბოს მაგისტრატ სასამართლოში ყოველწლიურად, დაახლოებით, 700 საქმის განხილვა ხდება. ძირითადად ესაა სამოქალაქო, ადმინისტრაციული, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სისხლის სამართლის საქმეები. ასევე იხილება, დაახლოებით, 350-მდე სამართლებრივი იძულების ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების საკითხის შემოწმებაზე შუამდგომლობები. სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას, როცა მოსამართლე ყველა კატეგორიის საქმეს იხილავს, მას ბევრი საინტერესო და დასამახსოვრებელი საქმე ხვდება. საქმე გამახსოვრდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, მაგალითად, განსაკუთრებული სირთულით, ასევე მხარეებით, რომელებიც ძალიან კვალიფიციურები, ან პირიქით, ძალიან არაკვალიფიციურები არიან, ერთ საქმეზე ბრალდებულების სიმრავლით და სხვა. შესაბამისად, რომელიმე კონკრეტულ საქმეს ვერ გამოვყოფდი.

— ქალბატონო მაკა, რა მიგაჩნიათ თქვენს საქმიანობაში ყველაზე დიდ სირთულედ, რა პრობლემებს აწყდებით?

— სასამართლოს საქმიანობაში და, საერთოდ, მართლმსაჯულების განხორციელებისას, განსაკუთრებულ სირთულეებს საზოგადოების სამართლებრივი განვითარების დაბალი დონე წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მაგისტრატი სასამართლოს განსჯად საქმეებზე. რადგანაც, უმეტესად, ასეთ საქმეებზე მხარეებად თავად სამართლებრივი ურთიერთობის პირები მონაწილეობენ და არა ადვოკატები და იურისტები. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩვეულებრივ სამოქალაქო საქმეზე, დარბაზში შემოსვლისას რომელიმე მხარე ტირილს იწყებს იმ საფუძვლით, რომ სასამართლოში არასდროს ყოფილა. მანდატურსა და მოსამართლის თანაშემწეს დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ ასეთი მხარეები საქმის განხილვისათვის განაწყონ. შესაბამისად, მოსამართლესაც უფრო მეტი დრო ეხარჯება ასეთი დავების გადასაწყვეტად. ყოფილა შემთხვევები, როცა მხარე აპროტესტებს განმარტებას გადაწყვეტილების გასაჩივრებისა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს. ასევე განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება იმის ახსნას, რომ დასავლეთ საქართველოს ყველა სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საჩივრდება.

— რამდენად წარმატებულად მიგაჩნიათ სასამართლო რეფორმის ეს ნაწილი — მაგისტრატი სასამართლოების არსებობა — და, პრაქტიკიდან გამომდინარე, რაიმე ცვლილების ან დახვეწის საჭიროებას ხომ არ ხედავთ?

— მაგისტრატი სასამართლოს არსებობა საერთო სასამართლოების სისტემაში, საკმაოდ წარმატებულია. უპირველესად აღსანიშნავია, რომ საქმეებიდან განიტვირთა რაიონული და საქალაქო სასამართლოები. მართლმსაჯულება უფრო ეფექტური და სწრაფი გახდა. პრაქტიკულმა გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ რეფორმა წარმატებით განხორციელდა.

— გიგრძვნიათ თუ არა თქვენი საქმიანობის განხორციელებისას რაიმე სახის ზეწოლა? საერთოდ, რამდენად დამოუკიდებელია, თქვენი აზრით, დღეს ქართული სასამართლო და ათბალიანი სისტემის საშუალებით, როგორ შეფასებას მისცემდით დამოუკიდებლობის ხარისხს წინა ხელისუფლებისა და დღევანდელი ხელისუფლების პირობებში?

— მოსამართლის უფლებამოსილებაში შესვლამდე, ჩვენ ყველამ დავდეთ ფიცი, რომ ვიქნებოდით დამოუკიდებლები და დავემორჩილებოდით მხოლოდ და მხოლოდ კანონს. თუ რომელიმე მოსამართლე თავს უფლებას აძლევდა და აძლევს, ფიცი გატეხოს და რაღაც გარემოებების გათვალისწინებით საკუთარი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა შეიზღუდოს, ეს, რა თქმა უნდა, არა მარტო სასამართლოს, არამედ მთლიანად საზოგადოების და სახელმწიფოს პრობლემაა. ჩემი დამოუკიდებლობის მაჩვენებელი სასამართლო სისტემაში, როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლების პერიოდში, არის და იქნება მაღალ ნიშნულზე და, ეს უპირველეს ყოვლისა, ჩემი პიროვნული მახასიათებლებითაცაა განპირობებული.

— თქვენთვის ცნობილია, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ნორმა კონსტიტუციურად ამოქმედდა, თუმცა პარლამენტი აპირებს სამწლიანი გამოსაცდელი ვადის დაწესებას მოსამართლისთვის. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?

— სახელმწიფოს ძირითად კანონში ამოქმედებული ნორმა მოსამართლეთა სამწლიანი გამოსაცდელი ვადის შესახებ, მოსამართლეებში ცალსახად უარყოფით დამოკიდებულებას იმსახურებს. მაგალითად, მრავალწლიანი სტაჟის მქონე მოსამართლისათვის ასეთი ვადის დაწესება, ვფიქრობ, მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის „სითამამეს“ გადაწყვეტილების მიღებისას, ფრთებს შეუკვეცავს. რაც, თავისთავად, მის მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ დააყენებს.

ნათო გუბელაძე

პროექტს ახორციელებს შპს „ბესტკომპანი ჯორჯია“
ელფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

უნდათ და რა ქნან?

რატომ ქორწინდებიან საქართველოში ადრეულ ასაკში?

ნაადრევი დაქორწინებით გამოწვეული იმედგაცრუება, დანგრეული ოჯახის კომპლექსებით დაავადებული პატარები, ამ გარემოთი დათრგუნული მშობლები და ახლობლები – ეს ის მცირე ჩამონათვალია, რაც ჩამოუყალიბებელ ასაკში გოგონათა დაოჯახებას ახლავს ხოლმე.

18 წლამდე ასაკში ახალგაზრდა გოგონებს უჭირთ იმის გაცნობიერება, თუ რა პასუხისმგებლობები ახლავს თან ქართულ ტრადიციულ ოჯახს.

მიუხედავად ოჯახური ვალდებულებებისა, საქართველოში, შეიძლება ითქვას, ყველანაირი რეკორდი მოიხსნა. 18 წლამდე გოგონათა გათხოვების სტატისტიკამ გადააჭარბა 2013 წლის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მეორე ადგილზე იყო მოლდავეთის შემდეგ გოგონების ნაადრევი ქორწინებებით. მას მოსდევდა თურქეთი და ტაჯიკეთი. სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში 20-დან 24-წლამდე გოგონების 19% 18 წლამდე გათხოვდა. 2014 წელს კი ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა.

არასრულწლოვანი პატარძლები ახალ ოჯახებში ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და სექსუალური ზეწოლის ქვეშ ექცევიან. ქორწინება უარყოფითად მოქმედებს მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ართმევს განათლების მიღების საშუალებას და წარმატებულად დასაქმების შანსს, თუმცა, მოზარდებს, სამწუხაროდ, უჭირთ ამ ყველაფრის გათვალისწინება და ვნების კარნახით მოქმედებენ. უმეტეს შემთხვევაში, ქმნიან დროებით ოჯახებს და მათ მშობლებს კიდევ ერთ პატარას მიუყვანენ სახლში გასაზრდელად.

გაერო და მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2013 წელს, პარტნიორებთან ერთად მოუწოდა სახელმწიფოებს, ნაადრევი ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევად და მოზარდებისთვის საფრთხის შემცველად გამოეცხადებინათ და სტრატეგიული გეგმები შეემუშავებინათ ამ მავნე ტრადიციის აღმოსაფხვრელად, თუმცა მსგავსი ღონისძიება საქართველოში დღემდე არ გატარებულა. ისევ თხოვდებიან არასრულწლოვანი გოგონები და ეს მაჩვენებელი დღითიდღე მატულობს.

„ფსიქოლოგები გამოყოფენ რამდენიმე მოტივს, რაც შეიძლება ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნის მიზეზი გახდეს:

1. ხშირად გოგონას იმიტომ ეჩქარება გათხოვება, რომ საკუთარი მშობლებისგან ოჯახური სითბოს ნაკლებობას გრძნობს და სურს, ამ გრძნობის კომპენსაცია საკუთარი ოჯახის შექმნით მოახდინოს;

2. ახალგაზრდაზე მშობლები ხშირად გადამეტებულად ზრუნავენ. უფროსები მას აღიქვამენ და ექცევიან როგორც პატარა ბავშვს. ოჯახის შექმნის მოთხოვნილებას ამგვარი მზრუნველობისგან გაქცევის სურვილით ხსნის;

3. არსებობს ფიზიკური ლტოლვა, რომელსაც სიყვარულის გრძნობაში ურევენ;

4. ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნის არცთუ იშვიათი მიზეზია დაორსულება.

„რა თქმა უნდა, ოჯახის შექმნის უმთავრესი მოტივია სიყვარული", მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ეს გრძნობა, უბრალოდ, მიზეზი არის ხოლმე და ოჯახის დანგრევის შემთხვევაში კი ერთი წინადადებით მოიგერიებენ ცნობისმოყვარე ხალხს: „თურმე საკმარისად არ გვყვარებია ერთმანეთი".

ამ ყველაფრის მიზეზი კი ის არის, რომ ახალგაზრდობა ცხოვრების მიმართ მსუბუქი დამოკიდებულებითა და მოქნილი ფსიქიკით გამოირჩევა. წყვილი შეიძლება ერთმანეთის ნაკლს ვერც ხედავდეს და ბედნიერების გრძნობას მძაფრად განიცდიდეს. ადრეული ქორწინების კიდევ ერთი დადებითი მახასიათებელი შეიძლება იყოს ის, რომ ოჯახური ცხოვრება ადამიანში დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას საკმაოდ ძლიერად ავითარებს. ქორწინება გამოცდილებას ჰმატებს და საშუალებას აძლევს წყვილს, რეკორდულ დროში გაიზარდონ როგორც პიროვნებები. უფროსად გახდომა არა მარტო კარგი, არამედ არცთუ ადვილი პასუხისმგებლობაა. ზოგიერთი ადრეულ ქორწინებაში დადებით მაჩვენებლად ახასიათებს შვილების ადრე გაჩენას, რადგან უფროსი შვილების ყოლისას დედ-მამა ისევ ახალგაზრდები არიან.

ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას კარგი იქნება, ახალგაზრდები დაფიქრდნენ, არის თუ არა მათი გადაწყვეტილება სიყვარულზე, ან მხოლოდ ლტოლვაზე დაფუძნებული, არის ეს მშობლებისგან გაქცევა თუ დამოუკიდებლობის სურვილი? დაუსვან საკუთარ თავს შეკითხვა: რამდენად მზად არიან ოჯახის შექმნისთვის და რას მოელიან ქორწინებიდან?

მამუკა მესხი: „არ არის მიზანშეწონილი ნაადრევად დაქორწინება, რადგან 12-13 წლის ასაკში გათხოვილი ბავშვი და 15 წლის ასაკში მოყვანილი ცოლი, მე მგონი, არ იქნება ძლიერი ოჯახი, იმიტომ რომ, არ იცის ოჯახის ფასი, ბავშვია და თვითონ როგორ უნდა გაზარდოს ბავშვი? ჯერ არ იციან არაფერი, აქიდან გამომდინარე, ოჯახური სიმყუდროვე ირღვევა, მაგრამ საქართველოში დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ ყველაფერი ხდება და არაფერი აღარაა გასაკვირი. უნდათ და რა ქნან?"

თეონა კუცია: „ნაადრევი გათხოვება, მე, პირადად, მიმაჩნია ნაჩქარევ გადაწყვეტილებად და 18 წლამდე შექმნილი ოჯახები ხშირად ინგრევა, რადგან მათ ჰგონიათ, რომ გულწრფელად უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ეს არის გატაცება."

ქუთაისში გამოკითხული ამ ასაკის ახალგაზრდების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ნაადრევი გათხოვება მიუღებელია, თუმცა რას გააკეთებენ ისინი მაშინ, როდესაც ფაქტის წინაშე დადგებიან?

ჟანა ჯანელიძე

საშინელი სტატისტიკა – ბოლო პერიოდში კახეთში გაუპატიურების და გარყვნილი ქმედების ფაქტები გახშირდა

16 წლის შვილის მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებით 38 წლის მამაკაცი დააკავეს

კახეთში 16 წლის შვილის მიმართ გარყვნილი ქმედებისა და სექსუალური ხასიათის მოქმედების იძულების ბრალდებით 38 წლის მამაკაცი დააკავეს. სიღნაღის პროკურატურის ინფორმაციით, მამასა და შვილს შორის გარყვნილი ქმედების ფაქტი სამჯერ მოხდა. პროკურატურის ცნობით, მამაკაცი ბრალს არ აღიარებს, თუმცა მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მამას არასრულწლოვან გოგონასთან სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სიღნაღის პროკურორის მოადგილე იოსებ გულოშვილმა განუცხადა, გოგონას მშობლები დაშორებულები არიან და ბავშვი დროებით მამასთან და დედინაცვალთან ცხოვრობდა, რადგან დედა სამუშაოდ თურქეთში იმყოფებოდა.

„საჩივარი გოგონამ და დედამ შემოიტანეს. მამაკაცი იმავე დღეს დააკავეს. ყველა მხარეს ჩამოერთვა ჩვენება. პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით, წარდგენილი ბრალი დასტურდება. ასეთ ფაქტს ადგილი სამჯერ ჰქონდა, 2013 წლის თებერვალსა და აგვისტოში და მიმდინარე წლის მაისში. ამ პერიოდში გოგონა მამასთან ცხოვრობდა," — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს იოსებ გულოშვილმა.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიება სსკ-ის 139-ე მუხლის მეორე ნაწილით (სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება) და 141-ე მუხლით (გარყვნილი ქმედება) მიმდინარეობს.

პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას ითხოვს.

ბოლო პერიოდში კახეთში გაუპატიურების და გარყვნილი ქმედების ფაქტები გახშირდა.

მაისში პროკურატურამ ლაგოდეხის რაიონში არასრულწლოვანის მოტაცებისა და გაუპატიურების ბრალდებით 2 მამაკაცი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. საქმე ეხება 15 წლის გოგონას. მან კახეთის საინფორმაციო ცენტრს უამბო, რომ მაშინ მოიტაცეს, როცა სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა, 3 დღის განმავლობაში გატაცებული ჰყავდათ და 17 წლის საქმრო მას მანქანაში ყოველ ღამით აუპატიურებდა. „მეუბნებოდა, ეს აუცილებელი წინაპირობა იყო, ჩემთან რომ დარჩე და არ მიჩივლოო," — აღნიშნა გოგონამ, რომელმაც გამტაცებელს ცოლობაზე უარი უთხრა.

მიმდინარე წლის აპრილში, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ 55 წლის მამაკაცს, რომელსაც პროკურატურა 10 წლის გოგონას ცემასა და გაუპატიურებაში ადანაშაულებდა, 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მამაკაცი გოგონას ნათლიაა.

2014 წლის მარტში, ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში, 21 წლის ბიჭი 68 წლის ქალის გაუპატიურების მცდელობის ბრალდებით დააკავეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს შს სამინისტროში განუცხადეს, წინააღმდეგობის გაწევისას ბიჭმა ქალს ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი მიიმალა.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში, 36 წლის მამაკაცის გაუპატიურების ბრალდებით 41 წლის მამაკაცი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ძალადობის მსხვერპლი მამაკაცი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა. შემთხვევა 6 მარტს მოხდა.

2013 წელს, კახეთის საინფორმაციო ცენტრმა არასრულწლოვნებზე სექსუალური ძალადობის, გაუპატიურების რამდენიმე ფაქტის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია.

10 წლის ბიჭის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულ 46 წლის მამაკაცს, რომელიც ამნისტირებული იყო, პროკურატურამ ბრალი შეუმსუბუქა, სასამართლომ კი წელიწადნახევრით პატიმრობა მიუსაჯა.

პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმა 4 წლის გოგონას მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებით დაკავებულ 65 წლის მამაკაცთან, სასამართლომ კი ბრალდებულს სასჯელის სახით 6 თვით პატიმრობა შეუფარდა.

ლაგოდეხის პოლიციის თანამშრომლებმა 48 წლის მამაკაცი 14 წლის გოგონასთან სქესობრივი კავშირის დამყარების ბრალდებით დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელთან სექსუალური კავშირი რამდენჯერმე დაამყარა. მამაკაცი თავის ოჯახთან ერთად გოგონას ბებიის კუთვნილ სახლში ცხოვრობდა და როცა გოგონა ბავშვთა სახლიდან ბებიასთან იყო წასული, მამაკაცი მას საჭმელს არ აძლევდა, ვიდრე სექსუალურ ურთიერთობაზე არ დაითანხმებდა. მოგვიანებით, არასრულწლოვან გოგონასთან სქესობრივი კავშირის დამყარების ბრალდებით კიდევ 2 პირი, 18 და 20 წლის მამაკაცები დააკავეს.

ახმეტის პოლიციის თანამშრომლებმა 57 წლის მამაკაცი 9 წლის გოგონას მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედებისათვის დააკავეს. თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ბრალდებულს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ნათია დანელიშვილი
კახეთის საინფორმაციო ცენტრი

„ჩვენ, საერთოდ, გვყავს პრეზიდენტი?“

გამოკითხვა ქუთაისში – ვინ უნდა მოაწეროს ასოცირების ხელშეკრულებას ხელი?

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება ერთჯერადად პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს გადასცა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მესამე სამიტის ფარგლებში ასოცირების შესახებ ხელშეკრულების განხილვა ბოლო პერიოდში აქტუალურ თემად იქცა. მსჯელობის საგანი გახდა, თუ ვინ მოაწერს ხელს აღნიშნულ დოკუმენტს — პრეზიდენტი, თუ პრემიერი.

დავინტერესდით საზოგადოებრივი აზრით და ქუთაისის მოსახლეობას მივმართეთ კითხვით: მათი აზრით, ვინ უნდა მოაწეროს ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას?

ქუთაისელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები ქვეყნის პირველმა პირმა უნდა მიიღოს.

გოჩა აბდალაძე: „ჩვენ, საერთოდ, გვყავს პრეზიდენტი? სხვას რას აკეთებს, აბა, ქვეყანაში? არაფერი არ შეუცვლია სასიკეთოდ, ახლა კი ასეთ მნიშვნელოვან საქმეს სხვას აბარებს. ეს არ არის სწორი?“

ჯუმბერ არაბიძე: „თუ სახელმწიფო გვქვია, წესით და რიგით მარგველაშვილმა უნდა მოაწეროს ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, მაგრამ ჩვენი პრობლემაც იმაშია, რომ ჩვენ არ ვართ სახელმწიფო, ამიტომ რა მნიშვნელობა აქვს, ვინ აიღებს თავზე ამ საქმეს.“

ზაურ ამაღლობელი: „რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს ხელი, აბა რისი პრეზიდენტია, თუ ასე გადააბარა სხვებს მისი მოვალეობები.“

ნუკრი ბურჯანაძე: „როგორც წესი, პრეზიდენტი უნდა ასრულებდეს ასეთ მნიშვნელოვან ფუნქციას, მაგრამ, ჩემი აზრით, მარგველაშვილს ის მთავარი „ძარღვი“ აკლია, რაც ღარიბაშვილს აქვს, ეს სახელმწიფოს მართვაზე სწორად მიდგომის და თანამდებობაზე კარგად მორგების უნარია. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მათგანი მოაწერს ხელს დოკუმენტს, მთავარი ის არის, რა შედეგებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას ეს ხელშეკრულება. მაგრამ, მაინც ვთვლი, რომ საქართველოს პრეზიდენტი უფრო უნდა აქტიურობდეს ასეთ მნიშვნელოვან საკითხებში.“

თეიმურაზ მჟავანაძე: „ჩვენ მარგველაშვილს ვანდეთ სახელმწიფო, მას დავუჭირეთ მხარი იმიტომ, რომ საქართველოსთვის სასიკეთო საქმეები გაეკეთებინა, მაგრამ მე, პირადად, მისი გაკეთებული კარგი ვერაფერი დავინახე. ქვეყანაში პირველი პირია და, შესაბამისად, თვითონ უნდა ასრულებდეს იმ ვალდებულებებს, რაც მას აკისრია და არ უნდა გადაამისამართოს მისი მოვალეობები თანამდებობის სხვა პირებზე.“

ცნობილია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება ბრიუსელში 2014 წლის 27ივნისს დაიდება.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმების დადების უფლებამოსილება პრეზიდენტის მოვალეობის სფეროშია, თუმცა გიორგი მარგველაშვილმა ეს მოვალეობა ერთჯერადად საქართველოს პრემიერ-მინისტრს დაუთმო.

ჟანა ჯაველიძე
psnews.ge

ბავშვები, ბავშვები...

დროთა განმავლობაში იცვლება ბავშვთა მიმართ უფროსების მიდგომა, თუმცა, უპირატესობას მაინც კონსერვატორულ აღზრდას ანიჭებენ ადამიანები, რადგან თავად თვლიან, რომ სრულყოფილებასთან ახლოს არიან. ბავშვებისა და სოციალური გარემოს საკითხებზე ვესაუბრებით ფსიქოლოგ სოფი ხარატს.

— დღეს ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პოზიტიური აზროვნების საკითხი, რომელსაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს ბავშვობის პერიოდში.

— იაზროვნო პოზიტიურად ნიშნავს, ავუხსნათ ბავშვს ის, რაც (ნლპ) ნეირო ლინგვისტური პროგრამირების ერთ-ერთი ამომავალი წერტილია: **სამყარო არის ადამიანის მიმართ კეთილგანწყობილი.**

— გვაქვს შემთხვევები, როცა ადამიანები ჯიუტად ამტკიცებენ, რომ თეთრი შავია და — პირიქით. რატომ ხდება ასე?

— ბავშვს, რომელსაც მთელი ბავშვობა უმტკიცებენ იმას, რომ ის ჯერ პატარაა და არაფერი არ იცის, არასდროს აკეთებს სწორად და თითქმის ყველაფერი შეცდომით გააკეთა (რაც სინამდვილეშიც ასეა ხშირად), როცა იზრდებიან, სულ ამტკიცებენ იმას, რომ ისინი მართლები არიან ყოველთვის და სწორად გააკეთეს, მერე ეს არასრულფასოვნების შეგრძნება იმდენად ძლიერდება, რომ შავზეც უნდათ თქვან, რომ თეთრია. ყველაზე რთული ნაბიჯია ბოდიშის მოხდა და იმის აღიარება, რომ შეცდნენ. ბავშვს სჭირდება ახსნა-განმარტება და სტიმულის მიცემა, რომ იგი კარგად აკეთებს და როცა გაიზრდება, კიდევ უფრო კარგად გააკეთებს!

— არსებობს სტერეოტიპები, რომელთა დამსხვრევა საჭიროებს ბავშვთა აღზრდის საკითხში. რას გვეტყოდი ამის შესახებ?

— საქართველოში გვაქვს რამდენიმე არასწორი მიდგომა აღზრდის საკითხში, რასაც თაობები იმეორებენ და ძალიან ცოტა ფიქრობს, რომ შეცვალოს ბავშვებისადმი მოპყრობის მანერა, მეთოდები და სტილი. სტერეოტიპები დასამსხვრევი თუ არა, დასახვეწი მაინცაა.

— ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მიმართვის ფორმებს. ამას ამბობს ქრისტიანული მსოფლმხედველობა. ცოდვად ითვლება არასწორი სახელით მიმართვა ადამიანებისადმი. აქვს თუ არა გავლენა სიტყვებს, რომლითაც მივმართავთ ბავშვებს?

— აქვს გავლენა და ძალიან დიდი ძალაც. „არ გადავარდე, არ დაიწვა ხელი, ფეხი არ აგისრიალდეს, არ მოცურდე“ — თუ ასე გააფრთხილებთ შვილს, იგი აუცილებლად გადავარდება, აუცილებლად დაიწვავს და აუცილებლად დაუცურდება ფეხი, იმიტომ, რომ: 1. შიშის სინდრომი ძლიერდება. 2. ბავშვს უნებლიედ ვუბიძგებთ უკვე მითითებული საქციელისკენ.

— როგორ მივმართოთ პატარებს?

— უბრალოდ, უთხარით, რომ სხვა ადგილას გადავიდეს და უნდა აუხსნა, რომ თუ ხელს მიადებს ცხელ ღუმელს, ეტკინება. ბავშვს აქვს უფლება, რომ მას უფროსები ესაუბრონ არააგრესიულად. პატარა აკრძალვით უფრო დაინტერესდება და ისეთ „ექსპერიმენტებს“ ჩაატარებს, რომელიც მიგვიყვანს არასასურველ შედეგამდე.

— „შვილის მტრულად გაზრდის“ შესახებ რას გვეტყოდით?

— არსებობენ ადამიანები, რომლებიც დღესაც ფიქრობენ, რომ შვილი მტრად უნდა გაზარდო, მოყვარედ თუ გინდა, გამოგადგესო. თუ შვილში ჩადებული ინვესტიცია მშობლისთვის კეთილდღეობის გარანტიაა, რატომ უნდა გაზარდო შვილი მტრად? ეს აბსოლუტური აბსურდია...

თუ შენ, მშობელს, არ გაქვს იმის უნარი, იყო საკუთარი შვილის მეგობარი, მაშინ უნდა იყო მტერი და ეს მდგომარეობს იმაში, რომ შვილს სამუდამოდ ჩამოუყალიბდეს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომ იგი არასაკმარისად კარგია. ანუ, თუ დედამ მითხრა, რომ არ ვარ კარგი და რა გამოდის? მთელი ცხოვრება უნდა ვიომო იმისთვის, რომ ვიყო კარგი!

— ამით არ ყალიბდება კომპლექსი?!

— დიახ. ასეთ ადამიანებს მუდმივად აქვთ არასსრულფასოვნების შეგრძნება: ისინი მშობლებისთვის კარგი მოსამსახურეები არიან და სხვებისთვისაც, მაგრამ შინაგანი პრობლემა იმდენად დიდია, მათ უჭირთ დაიჯერონ, რომ კარგები არიან. თუ ადამიანს არა აქვს იმის შეგრძნება, რომ კარგია, იგი სულ მოითხოვს სხვებისგან, რომ „აღიარონ“ როგორც კარგი ადამიანი, რადგან ის, ვინც ამბობს, რომ არ არის კარგი და, ამას თავმდაბლობას აბრალებს, საკმარისია სხვამ უთხრას, რომ ცუდი ადამიანია, გამოვა წყობილებიდან. ამასთანავე, ის მუდმივად მზადაა, აგრესია გამოხატოს. ასე რომ, ის, ვინც კარგი არაა, არ აკეთებს კარგ საქმესაც.

ბავშვს სჭირდება ახსნა-განმარტება და სტიმულის მიცემა, რომ იგი კარგად აკეთებს და როცა გაიზრდება, კიდევ უფრო კარგად გააკეთებს!

— ქართულ სინამდვილეში ძალიან ცოტაა პასუხისმგებლიანი ადამიანი. რამდენად მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის სწავლა ბავშვისთვის? ადრეულ ასაკში მისი სწავლება ადრეა?

— პასუხისმგებლობა რაც უფრო ადრე გახდება ბავშვისთვის ცნობილი, მით უფრო ადრე მიხვდება იგი მის მნიშვნელობას.

— რა დოზით უნდა დატვირთოს შვილი მშობელმა?

— არ არის აუცილებელი, რომ მთელი ბავშვობა ირბინოს ბავშვმა მასწავლებლებთან და ეზიზღებოდეს ყველა, ვინც მას იმაზე მეტს სთხოვს, ვიდრე ფიზიკურად შეუძლია. საჭიროა ბავშვებთან მიმართებაში სიყვარული. უფროსები ვალდებულები არიან, აჩვენონ ბავშვს შესაძლებლობები და უფრო მეტი იზრუნონ მის ადამიანურ განვითარებაზე. სტრესი არის ზედმეტად დატვირთული ბავშვების თანმდევი „მეგობარი“.

— დასავლური ფსიქოლოგიური სკოლები რას თვლიან აუცილებელ ფაქტორად ბავშვის აღზრდაში?

— სიყვარული, ურთიერთობები, ადამიანობის სწავლა, მისი დანიშნულების და არსებობის მიზეზი და მიზანი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ბავშვის აღზრდაში...

— ბავშვთან ურთიერთობაში რამდენად მისაღებია მათ მიერ დაშვებული შეცდომების შემთხვევაში დასჯის დაპირება, ანუ „თუ დააშავებ, დაისჯები“ პრინციპი?

— თუ ბავშვს ხშირად მიუთითებთ იმაზე, თუ დააშავებს და შეჰპირდებით, რომ ჩადენილ საქციელს სახლში მისვლისთანავე აზღვევინებთ, არ მისცემთ შეცდომის ჩადენის უფლებას, თქვენ მას დამნაშავედ გაზრდით, რომელსაც სინამდვილეში არცერთი დანაშაული არ ექნება ჩადენილი, მაგრამ მთელი ცხოვრება ექნება დანაშაულის შიში და დამნაშავის შეგრძნება, რაც უზრუნველყოფს ჩამოუყალიბებლობას, დაბალ თვითშეფასებას, აგრესიას გარემოს მიმართ და საკუთარი მეს დაკარგვას...

— ერთ ჩემს ნაცნობს ჰყავს შვილი, რომელსაც შეუძლია საუბარი, მაგრამ არ საუბრობს. ამგვარი შემთხვევა როგორ შეიძლება ავხსნათ?

— არსებობს ბავშვების ყოველდღიური პრობლემა, რასაც ბაღებში, სკოლებში ვხვდებით. ეს არის აგრესია სხვა ბავშვების მიმართ. ავსტრიელი ლოგოპედი Renate Heitz ერთ-ერთ სტატიაში წერს, რომ ბავშვებმა სამეტყველო შესაძლებლობები მშობლებისგან უნდა ისწავლონ, რომ მათ გაიგონ სხვა ადამიანების ემოციური მდგომარეობა, რომ საკუთარ გრძნობებზე საუბარი რომელიმე აგრესიული ქმედების გამოხატვის გარეშე შეძლონ! ანუ მათ უნდა ვასწავლოთ საკუთარ ემოციაზე საუბარი.

— მაქვს გაგონილი, რომ ჩხუბს, განსაკუთრებით ვაჟებში, აქვს დადებითი და ნორმალური მხარეები...

— ბავშვების ჩხუბი ადრე უფრო ნორმალურად ითვლებოდა, ახლა ეს უკვე აგრესიის გამოვლინებად ფასდება, რადგან დადგინდა: როცა ბავშვები დიდი დროის განმავლობაში მხოლოდ აგრესიას გამოხატავენ, მათ აქვთ გარკვეული პრობლემები, რომლის ახსნა-განმარტებაც ხშირად არ შეუძლიათ და ამას აგრესიით გამოხატავენ. არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა ბავშვები კვირაში ერთხელ მაინც ნახულობენ ე.წ კომმარებს ძილში. ასეთი ბავშვების უმეტესობას მოგვიანებით უდგინდებათ, რომ მათ აწუხებთ რომელიმე ფსიქოლოგიურად გადაულახავი პრობლემა, რაც გვიან მძაფრად იჩენს თავს.

— როგორ შეაფასებდით ბავშვებისთვის შექმნილ ვერბალურ და სხვა ტიპის პროდუქციას?

— ზღაპრები, საბავშვო წიგნები, სცენარები და ნებისმიერი საბავშვო ინფორმაცია, სანამ პროდუქციად იქცეოდეს, კვალიფიცირებული ფსიქოლოგების მიერ უნდა კონტროლდებოდეს... ბავშვის ფანტაზია ფაქიზია და მისი აღქმის ფილტრები — შედარებით სუსტი. ისინი ყველაფერს იღებენ გარემოდან და ნაკლებია შინაგანი კონტროლი. ზღაპრები ქმნიან ბავშვში სტერეოტიპებს, აყალიბებენ ცხოვრებაზე წარმოდგენას. მახსოვს ერთი ქართული მოთხრობა, სადაც წერია მსგავსი წინადადება: იმაზე უბედური ადამიანი არ არსებობს, რომელმაც მიზანს მიაღწიაო. ეს წინადადება პირდაპირი გაგებით ცვლის ადამიანის მიდგომას ცხოვრებისა და მიზნების მიმართ, რადგან თუ ადამიანს არა აქვს მიზანი, მოტივაცია, მაშინ იგი ვერასდროს გახდება წარმატებული.

არსებობს ისეთი წარმოდგენა, რომ ადამიანს მუდამ უნდა ჰქონდეს ერთი აუხდენელი ოცნება. თუ ამას ბავშვი დაიჯერებს, მისი მიდგომა ამ საკითხის მიმართ იქნება გაუკუღმართებული, რადგან ოცნებები იმისთვის არსებობს, რომ ბავშვმა მისთვის იბრძოლოს და მისი მიღწევის ბევრჯერადი გამოცდილება დააგროვოს. ერთი მიზნის მიღწევა წარმოშობს მეორე მიზანს და ასე გრძელდება მთელი ცხოვრება.

ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ბევრი განსხვავებული ეპოქა და ეპოქაში ჩარჩენა არც ისე სახარბიელოა. ის, რაც ჩვენი დედების თაობისთვის მისაღები იყო, არ ნიშნავს, რომ ახლაც მისაღებია და რაც ძველია, აუცილებლად ყველაფერი კარგია. სანამ შვილს ზღაპარს წაუკითხავს დედა, თვითონ უნდა წაიკითხოს და გადაამოწმოს მისი მორალური მხარე. ის, რაც ომის პერიოდში იწერებოდა საქართველოში, ვისაც არ უნდა დაეწერა იგი, შეიძლება სულაც არ იყოს დღეს მისაღები. იქნებ არის მასში ისეთი რამ, რაც ამ ეპოქისთვის მიუღებელია?! მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად დიდი ავტორიტეტია ჩვენთვის მწერალი. ისიც ადამიანი იყო და მასაც ჰქონდა სისუსტეები. მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა გარკვეულ ეპოქაში სხვა იყო და არ ნიშნავს, რომ დღეს მისი ყველა აზრი მისაღებია...

როლანდ ხოჯანაშვილი

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: არ იკამათოთ, რადგან კამათით ვერაფერს მიაღწევთ და ნერვები მოგეშლებათ როგორც თქვენ, ასევე თქვენს გარშემომყოფებს.

კურო: ცხოვრება გარკვეულ სიტუაციაში მოგახვედრებთ, რომელიც წარმატებებს გპირდებათ, მაგრამ თავბრუ არ დაგეხვეთ, მიჰყევით დინჯად და დაფიქრებით.

ტყუპები: შეამოწმეთ იმ პრეპარატების გამოშვების თარიღი, რომელსაც იღებთ. მოერიდეთ მძიმე საკვების მიღებას. ეცადეთ განმარტოვდეთ საკუთარ თავთან.

კირჩხიბი: შესანიშნავი დროა საქმიანი შეხვედრებისთვის. შესაძლებელია, ისეთი რამ მოხდეს, რისი გადაწყვეტაც მხოლოდ თქვენს საქმიან პარტნიორს შეეძლება.

ლომი: ეცადეთ, გარშემო რაიმე შეცვალოთ. კარგი იქნება, თუ ორგანიზმის გაჯანსაღებაზე იზრუნებთ. გაუფრთხილდით ნერვებს.

ქალწული: თქვენ გეჩვენებათ, რომ გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის წყალობით სრულიად დაკარგეთ წონასწორობა და ორიენტაცია. მიჰყვებით დინებას და ამის გამო მეტისმეტად ნერვიულობთ, მაგრამ თქვენი გართულებანი არც ისე ღრმაა, როგორც ერთი შეხედვით გეჩვენებათ.

სასწორი: მოსალოდნელია, გაორებულ სიტუაციაში ჩავარდეთ. ეცადეთ, ემოციებს არ აჰყვეთ და ყველანაირი პრობლემა ცივი გონებით გადაჭრათ. არ მოაკლოთ ყურადღება ოჯახის წევრებს, მათ ეს ნამდვილად სჭირდებათ.

მორიელი: წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. პოზიციებს მნიშვნელოვნად გაიმყარებთ. პირად ცხოვრებაში რადიკალურ ნაბიჯებს ერიდეთ. საყვარელ ადამიანს ეჭვიანობის საბაბი არ მისცეთ, შეიძლება ეს ძვირად დაგიჯდეთ.

მშვილდოსანი: ეს კვირა ფინანსური ოპერაციებისთვის არახელსაყრელია. საქმიან მოლაპარაკებებზე კომპრომისზე მოგიწევთ წასვლა. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. დრო საყვარელ ადამიანს დაუთმეთ. ეცადეთ, მისი სურვილები შეასრულოთ. ეს თქვენთვის მომგებიანი იქნება.

თხის რქა: თქვენი ამბიციურობა მშვიდად ჯდომის საშუალებას არ მოგცემთ. თქვენ დიდი ხმაურით წახვალთ წინ და ვერავითარი წინაღობა თქვენ ხელს ვერ შეგიშლით. სხვებს მხოლოდ ისღა დარჩენიათ, მოგილოცონ და შემდგომი წარმატებები გისურვონ.

მერწყული: თქვენ საინტერესო კვირა გელით, საქმეებს ადვილად მოაგვარებთ. პირადი ცხოვრება ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს გპირდებათ.

თევზები: თავისთავად ყველა ექსპერიმენტი რისკს შეიცავს, მაგრამ თუ არ გამოცდი, ვერ გაიგებ. შეეცადეთ ისეთი არაფერი მოიმოქმედოთ, რომ ვინმე დაზარალდეს.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. თორმეტი. 5. ითაკე. 6. ბლუ. 8. სოლ. 9. კაკაო. 11. იკაროსი.
შვეულად: 1. არაკი. 2. მეგ. 3. თუთმოსი. 4. იალქანი. 7. კროლ. 10. პარ.

„ძნელია, პოლიტიკური პარტია სახელმწიფო უწყებისგან განასხვავო“

27 მაისს ქუთაისის დემოკრატიის სკოლის მორიგი პრეზენტაცია გაიმართა, რაც გულისხმობს ნიდერლანდების ინსტიტუტის მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (ნიმდის) სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც საქართველოს 4 ქალაქში ხორციელდება (თელავი, ქუთაისი, გორი, ბათუმი). პროგრამა ითვალისწინებს 5-თვიან სასწავლო კურსს და განკუთვნილია ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო სექტორის, მედიის, პოლიტიკური პარტიების, აკადემიური წრეების წარმომადგენლების, წარმატებული სტუდენტების და თანამედროვე დემოკრატიის საკითხებით დაინტერესებული აქტიური მოქალაქეებისთვის.

დემოკრატიული სკოლის წარმომადგენლის, ლევან ცუცქირიძის განცხადებით, სკოლის მიზანია მედიის წარმომადგენლების, საჯარო მოხელეების, არასამთავრობო სექტორისა და დაინტერესებული პირებისთვის დემოკრატიის მნიშვნელობასა და არსზე 5-თვიანი კურსის შეთავაზება.

„სწავლება, ძირითადად, სამ საკითხს ეხება. ესენია: პოლიტიკური პარტიების გაძლიერება, ხშირად პარტიას სიცოცხლის უნარიანობა აკლია, არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში არსებობის საშუალება აღარ აქვს და პოლიტიკური ორბიტიდან ქრება. გამარჯვებული პარტია კი ხელისუფლებაში მოდის, სახელმწიფოს ნაწილი ხდება. მათი ლიდერები იკავებენ საკვანძო თანამდებობებს, ასეთ შემთხვევაში ძნელია პარტიის სახელმწიფო უწყებისგან განსხვავება. ძირითადად, საქართველოში პარტიები მხოლოდ საარჩევნო მანქანებია. მეორე არის დემოკრატია. პოლიტიკოსები, რომლებიც ხელისუფლებაში მოდიან, ხშირ შემთხვევაში მათ არ აქვთ გამოცდილება, მცირე პარტიის შემდეგ სახელმწიფო სწორად როგორ მართონ, რის გამოც დემოკრატიის ხარისხი ეცემა. მესამე კი არის დემოკრატიის განვითარების პროგრამა, რაც უმეტეს შემთხვევაში არ გააჩნიათ პოლიტიკურ პარტიებს,“ — განაცხადა ლევან ცუცქირიძემ.

ქუთაისის დემოკრატიის სკოლა კურსდამთავრებულთა უკვე სამ თაობას ითვლის. ორგანიზაცია ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა აქტიური და ძლიერი ქსელის ფუნქციონირებაზე. საამისოდ ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროგრამებს (კონკურსები, ბანაკები, გაცვლითი პროგრამები და ა.შ.).

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

აიდი-ბარათების გაუქმების მოთხოვნით აქცია გაიმართა

ქუთაისის იუსტიციის სახლთან აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები აიდი-ბარათების გაცემას კიდევ ერთხელ აპროტესტებდნენ. მათი განცხადებით, ხელისუფლებამ ჩვეულებრივი პირადობის მოწმობები უნდა დააბრუნოს ძალაში.

„ჩვენი შეკრებით კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გააუქმოს აიდი-ბარათები, 60 000 ქართველს პირადობის მოწმობა არ აქვს. ნაწილს ეს საკითხი არ აღელვებს. ამ ადამიანებიდან არიან ისეთებიც, ვინც შეგნებულად არ იღებენ.“

ქუთაისის იუსტიციის სახლთან, რიგით მოქალაქეებთან ერთად, ადვოკატებიც იმყოფებოდნენ. მათი განცხადებით თუ ქვეყანაში „ლგბტ“ პირების უფლებებს იცავენ, ხელისუფლებამ მათი უფლებაც უნდა დაიცვას,ვინც ჩვეულებრივი პირადი ბარათის დაშვებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში აქციების გაგრძელებით იმუქრებიან.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ
ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37»;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.
არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.
განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია
უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ
ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს
სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა
☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი
ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**
☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით _____

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში
კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.
02.06.2014

წიგნების მაღაზია ჯიმერიონი
qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი" (ყოფილი „პოპული"), წიგნების მაღაზია „ჯიმერიონი".
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები
PSPRESS-კლუბი



ქუთაისი, რუსთაველის 37ა. (0 431) 24 45 46; 599 10 77 94

ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ!
სამოქალაქო კამპანია უკანონო მიყურადებების წინააღმდეგ

ეს შენ გეხება
ისევ გვისმენენ

www.esshengexeba.ge; www.facebook. com/esshengexeba

IMERI TEXTILE COMPANY
იმერი
სამკერვალო კომპანია

სამკერვალო კომპანია **„იმერში"** მზადდება ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის ფართო ასორტიმენტი:

- პიჯაკი
- ქვედა კაბა
- შარვალი
- პერანგი | მაისური | შორტი
- პალტო | ნახევარპალტო | ქურთუკი | ლაბადა | ჟილეტი
- სამხედრო უნიფორმა
- სასკოლო უნიფორმა
- სხვადასხვა ტიპის სამუშაო ტანსაცმელი

კომპანია **„იმერი"** წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ცნობილ ქართველ დიზაინერ **ავთანდილ ცქვიტინიძესთან.**

მისამართი: ქ. ქუთაისი, ლადო ასათიანის №119;

ტელეფონი: +995 431 22 07 08

ელ.ფოსტა: office@imeri.ge

ვებ-გვერდი: www.imeri.ge

მოდის სახლი „მარიონელა"
ექსკლუზიური სადედოფლო და საღამოს კაბები

თბილისი, მ. ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიძის დაღმართი) №12
ტელ.: +995 (432) 292-05-04

ქუთაისი, ა. პუშკინის ქუჩა №1
ტელ.: +995 (431) 25-31-21

ელ-ფოსტა: marionela@mail.ru

www.marionela.ge

აია
ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომპანია

ლიმონათი „აია" – ნატურალურ ნაყენსა და შაქარზე დამზადებული 11 სახეობის ლიმონათი: „მსხალი", „ლიმონი", „ტარხუნა", „ფორთოხალი", „ატამი", „დაფნა", „ალუბალი", „ნაღები", „საფერავი", „მარწყვი", „შოკოლადი".

„აია" ლიმონათი მზადდება თავად ქარხანაში დამუშავებული ცოცხალი ხილის ნაყენისაგან.

ლუდი „აია" – უმაღლესი ხარისხის ალაოსა და უნიკალური წყაროს წყლისაგან დამზადებული ქუთაისური ლუდი. ხარშვის პროცესს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მზადდება უახლესი ტექნოლოგიით.

მიირთვით „აია" პროდუქცია! იგი აბსოლუტურად უსაფრთხოა!

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №8

ტელეფონი: (0 431) 22 01 94; 22 30 31; 22 40 05

ცხვირის ქირურგიული ცენტრი
თემურ ძიძიგური — ცხვირის და ყურის ქირურგი

კეთდება ოპერაციები:

1. გრძელ, კეხიან, ჩამოშვებულ, განიერნესტოიან, გაღუნულ ცხვირზე.
2. ცხვირის ძგიდეზე, ცხვირის ნიჟარებზე და პოლიპებზე.
3. დიდი ზომის და გადმოწეულ ყურის ნიჟარებზე.
4. მკურნალობენ ცხვირიდან სუნთქვის გაძნელებას.

მისამართი: ქუთაისი, სულხან-საბას ქ. №81 (ავანგარდის დასახლების ბოლოს)

ტელეფონი: (0 431) 22-31-02; **მობ.:** (599) 53-69-64; (599) 14-08-13; ბინის (0 431) 24-57-63.

სამშენებლო კომპანია ტობე

ბეტონისა და რკინა-ბეტონის ქარხანა **„ტობე" აწარმოებს:**

მაღალი სიმტკიცის, სერთიფიცირებულ მ-150; მ-200; მ-250; მ-300; მ-400 მარკის სასაქონლო ბეტონს; შემოღობვის ფილებს, საკედლე პანელებს, საძირკვლის, ზეძირკვლის, სარტყელის, საკედლე, წვრილსაკედლე, ტიხრის ბლოკებს.

ზღუდარებს, რიგელებს, კოლონებს, საკანალიზაციო ჭებს. ყველა სახის, წინასწარ დაძაბულ კონსტრუქციებს. შეკვეთები სრულდება დროულად და ხარისხიანად, დამკვეთთან შეთანხმებით.

მისამართი: ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №4

ტელეფონი: (0 431) 23-60-60; 26-74-37

მობილური: (5 77) 78-06-70; (5 71) 55-55-01

ქუთაისის ხის გადამამუშავებელი ქარხანა
კავკასუს როუდ პროჯექტ

სახლი!
საავარაკე მობილური სახლი (63 მ²)
მისაღები – 21,2 მ²
საძინებელი – 9,4 მ²
საძინებელი – 12 მ²
სამზარეულო – 4,65 მ²
სანკვანძი – 2,3 მ²
ღია აივანი – 8,96 მ²

ფასი: 1 მ² – 750 ლარი (ტრანსპორტირების ჩათვლით).

მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №21
ტელეფონი: (0 431) 23 43 34; 23 64 02; 599 22 88 27